

The image shows a decorative page border. On the left, there is a large, ornate letter 'G' with a detailed floral and foliate pattern. To its right are three smaller, stylized letters: 'A', 'S', and 'H'. These letters are also decorated with floral motifs, particularly on their stems and loops. The entire border is composed of these four letters repeated along the edge of the page.

საუკელ-კირაო ლიტერატურული და მხატვრობითი განეთი.

25 81040

8583003335

JN^o 21

କ୍ଷମାର୍ଥଦୀତ

1886 ଏଇଲୁବା.

დესი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანგთი, ხეხვარ წლით სამი (3) მანგთი, სხვა გადათ ხელის მო-
ქანა არ მიიღება. ცეკვა ხომალი „თეატრი“-ს დას სამი შეური. ხელის მოწერა მიიღება; თავდასწი
„თეატრი“-ს რედაციაში და ქუთაისში მდ. ჭიათურაშვილის წიგნის მდგრადია შე. გარემო მცხოვრებია კას დრუე;
თეატრი. Въ редакцию „Театръ“.

ახალი აგენტი

◆ ამ ორი დღის წინეთ, იარმუქის ახლო
მახლო, ერთი მათხოვარი დადიოდა. ეს მათხოვარი
შესულა ერთ სახლის ეზოში, ეზოდამ ერთი ოთახის
კარს მიახლოვებდა და უნახავს, რომ ოთახში არავინ
არის, შესულა შიგა და კედლიდამ ოქროს საათი
ჩამოულია და წასულა. გუშინწინ ამ საათის პატრიონი
თავ გადაგლევით ექცებდა ამ მათხოვარს და პოლიცია-
შიაც წავიდა შესატყობინებლად, მაგრამ ვინ იცის და ან
ვილა იპოვების მას.

Ի՞նչ պահանջվում է առաջարկ գանույշեած լինելու մատեսացմանը?

◆ მზადდება ა) ფამად და საზაფხულოთ უკვე
ცალკე წიგნადაც გამოიცემა—მეფის თემურაზ
(1605—1663) პირველის ლექსიგბი.

◆ თფილისის სამღვდელოებას განუზრახავს,
რომ აღრინდეთის საქანთველოს დაზარხვისის და აწ

მოსკოვის მიტროპოლიტის ბოანიკეს ოცდა ხუთის
წლის ეპისკოპოზობის მოქმედების სახსოვნად ღდევ-
სასწაულოა.

◆ ადრინდელ ქურნალ «ცისკარის» თანამშა-
რომელს ბ. ლავრენტი არდაზიანს (სოლომონ ისაკისძე
მეჯღანუაშვილს, დამწერი) რუსულის ენიდან ქა-
რთულს ენაზე გადმოუთარებინა გამოხერილის ერთეული
რენანის თხუზულების პასუხი. ეს პასუხი დაწერილია
დეკანოზის ვლადიმერისაგან. კარგა ვრცელი წიგნია.
ეს ხელთნაწერი ქართულს ენაზე დაუპერდავი და-
ჩინილა. რუსულს ენაზე თუკილისშიაც იყიდება და
ლირს 2 მა 50 კ.

◆ ჩევენ შევიტყეთ, რომ თბილისში ერთ ამე-
რიკულ ნემენც მოგზაურს გამოუვლია და ერთის ქა-
რთველია პირისთვის რამდენიმე ქართული ძეველი წი-
გნების შოთა დაუგალებისა. ამ წიგნებში ჩამოთვ-
ლილი ვახუშტის და ბაქრაძის გამოცემა 1741 წ.
ვახტანგ მეფის გამოცემული «ვეფხვის ტყაოსანი»
1811 წ. საბა ორბელიანის ლექსიკონი, ანტონ კა-
თალიაშვის ვრცელი ხელონაწერი გრამატიკა და
თითო ეგზემპლარი ყველა მმ წიგნებისა, რაც კი
მეორამეტე საუკუნეში დაუბეჭდიათ საქართველოში

◆ ამ მოკლე ხანში, თემირხანშურილამ ჩამოვიდა, ქართველი მოგზაურ-ფოტოგრაფი ბ. რონიშვილი და დიდი ძალი საარხეოლოგიო ძევლი ნიკოები და სურათები ჩამოიტანა

სხვას ასწავლიდა, მაგრამ თბილი ცისტის მიზანით
გიგამ დაჭარება ჰქონდა,
ბაყაფა უფას უკირილმა,
ჭაობში ჩაიტუნა.

თეატრის მუშა



ო, გაზაფხული! უკეთის
სულისა დამატებობელი;
თუ ამ დროს მოგვედე, გეაფა—
არ დამინანო მშობელი!

ცრემლის მაგიერ, მეფოვეი
წეიმაო, ციათ შობილო,
თვალთ დამიხუჭე სიკვდილს წინ,
არ დამინანო დობილი!

ზაფელი



შერცხვენილი ოჯახი

(დასასირული *)

სურათ შეაფილის ცხოვრებიდან

(ცუძღვი გ. ბ...ძეს)



იგას მოუნდა სეარი,
ერთ გაზაფხულის დილასა;
სოფლისა თავში გავიდა,
მადგრა ჭალის შირასა.

ნახა ბაყაფი ჭაობში;
როს ყაფანებდნენ სშირადა,
დადგა და ცმერა დაუწეო
რადაცა გასაკვირადა.

სოჭეა, რომ, ამ წეულ პაშაუბს
არც ერთს არა აქვთ ჭეჭალ,
არ გადორელიბენ წინა წვერს,
წყვირან უშა უშაო!

შესძახა: მე თქვენ გასწავლით
გადობსა და მდერასო,
დაგიჭერთ მშრალზედ, გამოგურით,
გაი თქვენ ბედის წერას!

დამე კარგა ხანი იყო გასული; მთვარის მკრთალ
ნათელს საამურაო გაპქონდა კაშეში და აუარებელი
გარსკელავები, თავისუფლათ დანაერდობდნენ ლურ-
ჯათ შეფერილ ცაზედა. მთელს არე-მარეს არავითა-
რი ხმა არსაიდგან გაისმოდა. ამ საუცხოვო და კა-
ცის მომაჯალოებელ ლამეს, თოთქო სოფელიც მოე-
ჯადოებინა და ტებილათ ჩასძინებოდა დაღლილ-და-
ქანცულ შშრომელთა და არავინ აფრთხობდა მათ
მყუდრო ძილსა. საამურია ეს დრო სოფელში! რა-
ღაც საიღუმლო მყუდროება, სიჩუმე და მხოლოდ
სიჩუმე ჰსუფევს ამ დროს სოფლათა და დღის
მზისაგან გაღვიძებული სიცოცხლე, ეხლა ტკბილ
მყუდროებას მიცემული, ათას გვარი ხმა ჰაერში შე-
წყვეტასთან, მზის ჩასელასთან ჩატანია და ძალზედ
მცემი გრძნეული სიცოცხლის ძარღესაც კი, გეგონე-
ბათ შეუყენებია თავისი მოძრაობა და დაღლილ
შშრომელთან ისიც მისცემია მყუდრო განსვენებასაო.

ნა ეს საუცხოვო დრო იყო, როდესაც ყველ-
გან შეუმჩნეველი მიტრია, კეთილაშვილის სახლისკენ
მიმავალი ვიწრო ორ-ლობები, აჩრდილივით მიიპარე-
ბოდა. მიტრია თითქო არ ენდობოდა ამ მოჯადოე-
ბულ ლამეს და აქეთ იქით აცეცებდა თვალებს, ხომ
არ მიუურებენ ვისმე არა სასურველი თვალებიო...
მიტრია თან-დი-თან უახლოვდებოდა კეთილაშვილის

*) იხილე „თეატრი“ № 20.

სახლსა, ცოტა ხანიც და აგერ წაავლო ხელი ჰატა-
რა წნულის კარებს, რომელიც მაშინათე გაიღო და
მიტრიამ სიფრთხილით შესდგა ფეხი ბალჩაში. კვა-
ლათ მყუდროება, კვალათ უდაბნოს მსგავსი სიჩუმე,
მხოლოთ მიტრიას გულის ცემა და სიხარულისაგან
ალელვებული სუნთქვა მოისმოდა მთელს აჩე მა-
რეშია.

— მიტრია, შენა ხარ? ციურ ზარსვით გაის-
მა ლიზას ხმა.

— მე ვარ, ჩემო ლიზავ... და ელვაზედ უსწ-
რაფეს გადეხვივნენ ერთმანეთსა.

დიდხანს იყენენ ამ სანატრელ მდგომარებაში; დიდხანსა სტეპბოლნენ იმ სიამოვნების ნექტარით, რომლითაც მათი ტუჩები ერთმანეთს საკმაოთ ასაზრ-
დოებდნენ. . მიტრია აღარ აშორებდა პირს ლიზას ალისფერ ტუჩებსა; მიტრია ჰერძობდა რომ იმის მაშერალმა სულმა სულ სხვა ჰაერით დაიწერ სუნთ-
ქვა და ეს არა ჩეცულებრივი ჰაერი იყო კიდევ ლი-
ზას ის ნაზი სუნთქვა, რომელიც მიტრიას მკერდზედ თავისუფლათ მინდობილი სიამოვნებითა ჰსუნთქავ-
და. მიტრია ამ დროს სრულებით ბედნიერათა ჰრაც-
ხავდა თავის თავსა; მხოლოთ ეხლა აღარა ჰერძობ-
და, არც თავის მწუხარებას, არც სხვა იმ ათას გვარ
სევდებსა, რომელნიც აქამდისინ სრულებით დამონა-
ვებულს, დატყვევებულს ატარებდნენ მიტრიას საბრა-
ლო გულსა... მიტრიამ იპოვა ძალა, რომლითაც
ერთ წამს მაინც უკუიყრიდა ესოდენ თავის სევდა
მწუხარებას და ეს შემოქმედი ძალა კიდევ იყო ლი-
ზა—ლიზა თავის გამომეტყველი თვალებით და იმ
მშენიერ ალისფერ ტუჩებით, რომელნიც ყოველ-
თვისინ ზედ კოცნას იწვევდნენ. ერთი სიტყვით, მიტრია,
ზღაპრული ბედნიერი იყო! ისინი ჩამოსხდნენ იქვე
ლობის მახლობლათ და გაუმაძღარის სიამოვნებით ჩა-
სცეროდნენ ერთმანეთს თვალებშია.

— მს, ლიზავ, რომ იცოდე როგორ მიყვარ-
ხარ და რომ იცოდე რა შემძლებელი ძალა ხარ ჩე-
მის ბედ-უბედობისა, ჩემის მომავალ ცხოვრებისა... და
კვალათ თავისკენ მიიზიდა ლიზას სიამოვნებისაგან
წითლათ ატკეცილი ლოცები.

— ხომ შენც ისე გიყვარეარ, ჩემო ლიზავ, როგორც მე?..

— მიყვარხარ, მიყვარხარ მიტრია! ეს იყო ლი-
ზას პასუხი და სწრაფლ ჩაეკრა ერთმანეთს მათი ტუ-
ჩები.

— როდემდისინ უნდა ვიყენეთ ასე ლიზავ, რო-
დემდისინ უნდა ვატყობინებდეთ თვალებით ერთმა-
ნეთს გულის თქმება?.. არა სჯობია დროზედ და რაც
კი შეიძლება მალე მოულოთ ბოლო ჩენ საიდუმ-
ლო სიყვარულსა?

— მერე როგორ? დაეკითხა ლიზამ წინამდებ

— მე მამა შენსა ესთხოვ შენ დამატე, — მატე მატე
ნაურულათა ვარ თქვენსა, რომ ვიცი უარს არ მეტ-
ყვის...

— ლიზის გულისათვის,— გააწევეტინა ლიზამ
მიტრიას ლაპარაკი,— მაგას ნუ იზამ, თორემ უფრო
სრულებით წაახდენ საქმესა, მამა ჩემი არ დაგთანახ-
მდება და შეიძლება ერთმანეთის ნახევის დაშლას თან,
ჩენ ოჯახზედაც აგაღებინოს ხელი. ხომ იცი რო-
გორი კაცი არის, რა თავის ნათქვამია... მაშინ რა-
ღა მეშეველება, რომ ერთმანეთს ისე ვეღარა ვხედამ-
დეთ როგორც ეხლა. ლიზა თუმცა ლიზამ, მაგრამ
ისეთი გამომეტყველების კილოთი ლაპარაკობდა, რომ
ძნელი იყო მიტრიასთვის ეწინააღმდეგნა ამ ვითა სა-
ნუგეშებლათ მოელობილ ანგელოზის ხმისათვის.

— რათა მერე, განა არ მოვწონვარ? თავის
მხრით დაეკითხა მიტრია.

— როგორ, არ მოსწონხარ, მაგრამ... აღარ გა-
ნავრძო ლიზამ, მხოლოთ ისე ჩიგათ შეცხედა მიტ-
რიას, თითქა უნდა ეთქვა „შენ მიჰევდიო“.

— მაგრამ... მაგრამ ისა რომ ცუდი სახელი
გვაქვს დავარდნილი... და კვალათ შემოაწეა სევ-
და, ერთი წუთის სიტყბო კვალათ მწარე ბალლამათ
გარდაექცა და აქამდისინ მხიარული ხმა, მწუხარების
კილოთი შაეცეალა.

— სწორეთ მაგისათვის! მიამიტათ, მაგრამ სრუ-
ლი წმინდის გულით მიუგო ლიზამა, აი გუშინ-წინაც
— განაგრძო ლიზამ ამ ყმაწვილურის და მიამიტის
კილოთი,— დედა ჩემმა ჩამოაგდო შენზედ ლაპარაკი
და ცოტა არიყო ქებაც დაგიწეუ; მე მაშინათვე მიუ-
ხედი დედა ჩემსა და სიხარულით ისე დამიწყო გულ-
მა ცემა, რომ კინალამ არ შევყვირე, კინალამ კისერ-
ზედ არ მოვეხვივი... მამა ჩემი ჩაიელ უჩიზედ იდგა,
ის მხოლოთ იმას მოიძახოდა, რომ ცუდი სახელი
აქვთ ეხლა დავარდნილიო და მე ჩემ ქალს თავის
დღეში იმ ოჯახში საძლოთ არ მიეცემ, ნამუსიან
ქუდს არ ავთხდიო... ვეღარ განაგრძო ლაპარაკი,
ლიზას ჯერ კიდევ ყმაწვილურს და ჩეილ გულს, მა-
ლე მოაწენენ ბოლმები და არ იყო რომ თვალებიდ-
გან მარგალიტივით ცრემლებმა დაუწყეს ცეინა.

— მაშ რა უნდა ვენათ ლიზავ, როდემდისინ
უნდა ვიყვეთ ასე?.. მიტრია კიდევ მწუხარების კილ-
ოთი დაეკითხა და ცრემლ მორეულ თვალებში დაუწ-
ყო კოცნა.

— უნდა მოეციცადოთ, უნდა უცადოთ ბედსა...

— უნდა მოეციცადოთ?.. მაშ კიდევ ცდა, კიდევ
ის მწარე და შავი ბედის ლოდინი... მს, რომ იცო-
დე რამდენათ ტანჯული ვარ, ჩემო ლიზავ, ამ ორის

უიმედო მოლოდინითა! ცდა, ხანგრძლივი ცდა და ისიც რისა — ბედისა! იმ ბედისა, რომელიც ჩვენ თავის დღეში არ მოგვხედავს, რომელსაც ჩვენთვის არ მოაცლიან ჩვენზედ უფრო ბედიერნი!.. არა, ბედმა მე დღი ხანია თავი დამანება; ბედს მე დღი ხანია ეტულვარ და ეხლა კიდევ იმას უნდა ველოდო. ოხ, ეს ძრიელ ძნელი და უიმედო ცდა იქნება!.. მწარე გულ-საკლავი და ბოლმით საესე სიტყვები, ძრიელ აფიქრებდა როგორც მიტრიას, ისეთაც მსმენელს და სულით და გულით მინდობილ ლიზასა. მიტრიას ქავიეთი სიტყვები, ლიზას გულს ჩაქუჩის ცემის მსგავსათ ეცემოდნენ.

— უცადო ჩემს ბედს, — განაგრძო კუალათ მიტრიამ და უფრო მკერდს მიკრა ლიზა, რომელიც სრულებრივ მინდობილი იყო და არაფერში ეწინა-აამდეგებოდა, — უცადო?... მერე, როდის, როდის შეიძლება ამის თავიდან აცილება, რომ მამა შენმა ხამართლიანი უარი აღარ მითხრას? განა ეს მალე იქნება!

ამ დროს შორს შარა-გზაზედ გაიჭრიალა ურემ-მა; ამავე დროს მეურმის ხანგრძლივმა როგოველომ, რომლის სიტყვებიც ლამაზათ მოისმოდა:

„ოავა, აქებე შავშე-ბედს
„შიეჭა მხიარულებას;
„შენ ის აცხოვო და მან შენ
„შეუდის ურთგვარ ცხროვდებას...“

გაიკრიალა ცაში და ტკბილი წმინდა ხმა გაისმა შორს, შორს... და შხოლოთ იქ შეუერთდა სხვა იმისაგანვე გამოწვეულ ხმასა, რომელთაც ერთათ, რაღაც იღუმალების პარმონიით შეახმაურეს, მოვარის მკრთალ სხივში ჩამთქარი, მაგრამ ტკბილათ ჩაძინებული სოფელი.

ამ საოცრების ხმას მიუგდეს რინექმ ყური; მიტრია რამდენიც აკირდებოდა მეურმის სიმღერის კილოს, იმდენათ ნათლათ იღვენდა თვალშინ, თავის მომავალ ხვედრს, უბედურს და არა სასიხარულო ცხოვრებას: — «ყველა მხიარულობს, ყველა სტკება სიცოცხლით, ყველას რაღაც ნეტარების ცეცხლის ნაკვერჩხლები უღვევით გულში და მე კი ვიტანჯები; ჩემი ცხოვრება შავ-ბედით არის მოცული, სიცოცხლეც კი მოწამლული მაქვს.» ფიქრობდა მიტრია, რომელსაც ლიზას წვრილ წელისათვის შემოეხვინა თავისი შმრომელი ხელები და ისე ჩასუქერდა იმის გულის ცემას, თითქო იქიდგან ესმოდა მიტრიას, ის მომაჯადაცებელი ხმა.

— ჩა არის ჩემი ცხოვრება და როდემდისინ უნდა ვიტანჯო, როდემდისინ უნდა ვატარო, ასეთი მწარე და გულის მომწამლავი სახელი? — მიტრია

ეკითხებოდა თავის თავსა და თავ დავიწერებულის წერტილი და ლიზა და მიკრა მკერდს, თვალებში მაცეკრალი ლიზა და დიდანისა სტკებოდა ამ ტრფობის აუნებითა.

— მაშ, არ უთხრა მამა შენსა? ქარგა წნის სიჩუმის შემდეგ კიდევ დაეკითხა მიტრია.

— არა...

— მერე როდემდისინ?

— არ ვიცი,

— კიდევ მოვიცადო, არა? მწარე ღიმილმა გაუჩინა მიტრიას ტუჩებზედა.

— ჰო!

— მერე, ექნება ბოლო ჩვენ ცდასა?

— არ ვიცი... მიუგო ლიზამა, მაგრამ არ იყო რომ ამ უიმედო მომავალმა, ლიზასაც აუმღვრია გული, ლიზასაც შემოაწენენ წყვდიადი სევდები და მარგალიტის მსგავსი ცრემლები, ნაკადულსავით გად მოჰსენენ იმის შავ თვალებსა.

ტვალათ შორს შესწყდა მეურმის სიმღერის ხმა; ჰაერშივე შესწყდა სიმღერისაგნ გამოწვეული ხმაც ამასთანავე შესწყდნენ მიტრიას თავშიაც ნეტარებისაგნ გამოწვეული აზრები, რომელნიც ასე ბედი რათ უხატავდნენ თავის შავ-ბედითი მოცულ ცხოვრებასა.

მიტრიამ აღარა უთხრა ჩა ლიზას, აღარასუერის იმედი მისცა იმის ტრფობით საესე თვალებსა; მოაშორა უცებ თავი, შესწყვიტა კოცნა ალისვერ ტუჩებზედ, ჩაცეკრდა უკანასკნელათ მოვარის შუქი-საგნ ლიზას გამშვენიერებულ თეთრ-წითელ სახეს და გამოსწია ბალჩის იმ პატარა კარებისაკენ, რომლი-დგანაც პირველათ იგი შემოვიდა ისე ნეტარების თუნებებით საესე.

— როდის მოხვალ მიტრი? მისძახა ლიზამ.

— არეიცი...

— მაინც!

— შეიძლება ხეალ, იქნება არასოდეს. მიტრიას ცხადათ ეტყობოდა, რომ ამ სიტყვების წარმოოქმისათვის, დიდანის უნდა ებრძოდა თავის გულობანა, კილო ჩეულებრივი არ იყო, სიტყვები რაღაც სევდებით გამოჰელერდნენ.

მიტრია გამოეიდა ბალჩიდგან და დაადგა იმავე წერტილ ორლობეს, რომელზედაც ცოტა ხნის წინათ ისე აღტაცებული, ისე გახარებული, ისე ბეღნიერი მოდიოდა კეთილაშევილის ბალჩისკენ... ეხლა კი სულ სხვა წყვდიად სევდებით შეიცვალნენ, ის წუთით სიტყბოების წამნი, სულ სხვა საზარელი ფიქრები ერივნენ თავში. მიტრია ეხლა კვალათ ჩეულებრივ ჩათხრობილ მიტრიათ გარდაიქცა და ის საზარელი ფიქრები, რომელნიც ამ თავის აუდა ორი

წლის სიცოცხლეში, მხოლოდ ქადა პირველათ აერთინენ, აღარ აძლევდნენ მოსვენებას, ჰქენჯნიდნენ ისეთაც დამწეარ დადაგულ გულსა.

IX

თუმცა შემოდგომის უკანასკნელი დღეები იყო, მაგრამ სიცოცხლე მოკლებულმა მჩემ, რამდენიმე დღე მარც შშეენიჭი და ისეთი თბილი დაიჭირა, რომ კაცს პირველ გაზაფხულის დღეებს აგონებდნენ. ხალხი ხავმაოთ გამოიშლებოდა ხოლმე ირ-ლობეში და აქა იქ თავ-მოყრილ სოფლის ახალგაზლობას ლაპარაკით თუ ზედ დართულ სიმღერით ერთი ყოფა გაჰქონდათ. მხოლოდ, დიდი ხნის მათში გამოკლებული, მიტრია-ლა აკლდა მათ გუნდს, რომ იმას უფრო ერთი ათათ დაეწევენებინა, თავის წმინდა ხმით, მათი მოძახალი სიმღერა. მიტრია რამდენიმე დღე სჩულებით აღარ გამოიდიოდა სოფელში, იჯდა შინა და ჩვეულებრივებით უფრო ღრმათ ჩაფიქრებული დადიოდა მიყრუბულს, აოხრებულ ეზოში... საბრალო ელისაბეჭის გაწყალებულ და უდრიოვოთ მოკვდარ გულს, მიტრიას ამგვარი ყოფა ხომ ბოლოს ულებდა. ზოგჯერ ჩააციელებოდა ხოლმე ელისაბეჭი ჩათხრობილ მიტრიას, მრავალ კითხვებით, მაგრამ მიტრიას ერთგვარი პასუხი, რომ ძრიელ კარგათა ვარო, სრულდებით სასოწარკეთილებაში შეჰქანდათ ელისაბეჭი.

მიტრია, მართლაც რომ არ იყო აეთ; იმას მხოლოდ ის საზარელი ფიქრები ულელავდნენ თავში, რომელთაც იმის ახალ-გაზდა გულში დიდი ხანია დაიბანაკეს და მხოლოდ ქელი აღეძრნენ საშინელებათ, მხოლოდ ქელი მოაქანჯეს აქმდისინ იმისი მოწინააღმდეგე გული.

— არა არის და რა უნდა იყოს ჩეენი ბოლო, — ფიქრობდა სახლის წინ ქვაზედ ჩამომჯდარი მიტრია და ჩვეულებისამებრ მწარე გამომეტყველებით გაიყურებოდა აქეთ იქით, გულ საკლავათ შესცეროდა ყოველი სულის, თუმცა გაჭირებულს, მაგრამ ერთის მხრით ბედნიერ და ტკბილათ მცხოვრებ ხალხსა. — ასე უნდა ამოგვივიდეს სული მარტობაში, კველა-საგან მიერწყებულებს, ჯერ დედა ჩემს, რომელსაც ცრემლის დენასთან ერთათ შეუწყედება სიცოცხლეც და მერე, მერე რაღა თქმა უნდა მეცა... ვინ მოგვეხდას დღესაც, ამ წუთშიაც რომ ამოგიდიოდეს სული? ვინ მოგვაწვდის წყალს კიდეც რომ ვიხრიოდეთ?.. ყველა თავის პატიოსნებას ემსახურება, ყველა თავის პატიოსნებას იცვალს! ეს რომ ასე არ იყოს, რა იქნებოდა ჩეენი ცხოვრება! არა, რა საჭიროებისათვის უნდა მოსცხოს კაცმა სხვის ჭუჭყიანი ლაქა, თავის

უმანკო და სუფთა პატიოსნებასა!... და განკ ჩამოს უნდა არი ჩემი ბოლო, ეს არის ჩემი ჩარა... ცამარებისათვის

მწარეთ იმეორებდა ამავე სიტყვებს გულში; სინათლის გამომეტყველებით აცერდებოდა სოფლის გარე მიღამოს, თითქო უნდა წამოეძახნა: «ომ, ცხოვრებაგ! რამდენი ბოროტი სული გცხებს ჭუჭყა!» ნოდარი მას აქეთი სრულებით აღარ დაბრუნებულა, აღარ უნახავს თავის ცოლი და შეიღლი; ის მაკრინეს სახლში იყო დაბინავებული და სხვანი ხომნოდარს მხოლოდ უმძიმებდნენ, უფერხებდნენ, სრულებით თავისუფალ, უსაყველუროთ მაკრინესთან ცხოვრებესა. იგი მხოლოდ მაკრინეთი იყო ბედნიერი; მხოლოდ მაკრინეს სახლში ჰპოვებდა ყოველისფერ იმ სიუხვით, რასაც და რამდენსაც კი მოისურვებდა კაცის ხარბი და გაუმაძლარი სურვილი. რაღა არ უნდა ჰქონოდა მაკრინესთან ნოდარსა, რას არ უნდა გაერთო და რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო არ მიეზიდნა ნოდარი მაკრინესა... დაღუპა, დაანელა სახლ-კარი; შეიძულა ცოლ-შეიღლი და შეძულებასთან შერტვენილი სახლის ჭუჭყიც საქმაო მოცხო თავის სახლსა; მაგრამ, ამავე ღროს გაახარა, ააყვავა, აამსო სარჩო-საბადებლით მაკრინე, მხოლოდ მაკრინეთი სცოცხლობდა ნოდარი. მაკრინეს სახლში ცხოვრებდა, მხიარულება და ურთი-ერთ სიყვარული, რომლითაც ასე მტკიცეთ იყვნენ შეკავშირებულნი ერთმანეთთან, სღულდა და გადმოსდუღდა!

მიტრიამ თავის მომავალ ცხოვრების იმედები, უარით გადასწყვიტა; მიტრიამ დაკარგა ამ უკანასკნელ ღროს ყველა ის აღძრული ფიქრები, რომელიც ცოტათ თუ ბეგრათ შეახებოდენ იმის ცხოვრებასა... მიტრიას გულში მხოლოდ ერთი ლიზას სახელი-და იყო მიტრიას ზოგიერთი ფიქრები, მაგრამ ის ფიქრი კი რომ ლიზა განდებოდა მიტრიას სახლის მომლელი, რომ ლიზათი აღაღენდა იგი თავის დაცემულ ოჯახსა და საბრალო სამარის კარებისაკენ პირ-მიეულ დედას, ხმის გამცემს და მეგობარს უშორინდა და ეს მეგობარი კიდევ, მიტრიას ფიქრით, ლიზა უნდა ყოფილიყო თავის ოჯახში, რომელიც ჩვეულებრივ დაიწყებდა ცრიიალსა და ერთხელ მიტრიას გულში გამჭრალ სიმხნევეს კვალათ აღაღენდა, კვალათ შეუღებოდა ერთგვარს და დაუღერომელ ცხოვრებასთან ბრძოლასა, მაგრამ... ეს მხოლოდ ჭაბუკის უცნებანი იყვნენ მიტრიასათვის! კეთილაშეილის უარის თქმასთან, განკერნენ ის უცნებანიც და მათ ადგილს მხოლოდ შავ-ბეღით მოცულ ცხოვრებამ დასდგა თავისი კარავი, ამითი ერთხელ და სრულებით დაჰკარგა თითონ მიტრიამაც ცხოვრების ცო-

ტათიც არის გაუმჯობესობის იმედი და ნათლათ წა-
მოიყენა თვალშინ სულ სვა მწუხარებით და წყვდი-
ადით მოცული მომავალი.

აი ამ მწარე ფიქრებს დიდი ხანი ებრძოდა მიტ-
რია, დიდხანს უფარდებდა აწმუნს მომავალსა, მაგ-
რამ ყოველთვისინ ერთსა და იმასვე ჰქედავდა, ერთი
და იგივე მწარე ცხოვრება რჩებოდა მიტრიას ხვედ-
რათა, ბრძოლა შესწევითა თავის არეულ ფიქრებ-
თან, მაგრამ, ვაკ, რომ იგი დამარცხდა, იგი სრუ-
ლებით შეიპყრეს რაღაც საიდუმლოების ხმათ და
სულ სხვას ჩასახოდნენ უურებში, სულ სხვა გვარათ
დაუწყო გულმა ცემა, სულ სხვა საზარელი აზრები
აღექრინენ თავში და ეს აზრები კიდევ იცო ის, რო-
მელთაც მხოლოთ ეხლა დაუმოჩილდა მიტრია.

რასა ფიქრობდა?

მთვარემ ამ საღამოს თითქო განვებ დაიგვიანა;
ცა ტყვიის ფერ ღრუბლებით იყო მოჭედილი და
სოფლათ მიყრუბულ შემთღვომის საღამოს, მხო-
ლოთ აქა იქ ძალლის ყეფის ხმა ახმაურებდა, შეუ-
ღამეს მიტანებული იქნებოდა, როდესაც მაკრინეს
სახლილგა სამი კაცი კარგათ შეზარხოშებულები გა-
მოიდნენ და გამომშეიღობასთან, მადლობას უხდი-
დნენ უხვათ გამასპინძლებისათვის ნოდარსა, სტუ-
რების გასტურმების შემდეგ, შებრუნდა სახლში ნო-
დარი და კვალათ განაგრძო ვახშამი, რომელსაც
გვერდით მოჯდომიერ თითონ მაკრინე და თავა-
ზიანათ აწედიდნენ ერთმანეთს წითელი ღვინით საესე
სტაქნებსა.

მიტრია ამდროს სულ ბნელსა და წყლისაგან
ჩახრამულს ბილიკზედ მიაბიჯებდა მაკრინეს სახლისა-
კრა; ცოტა ხნის შემდეგ იგი შევიდა კიდევ ეზოშია
და ღია დარჩენილ კარებიდან, დაუწყო თვალიერე-
ბა სახლში მცოდნო. ერთ ჩახველებასთან შევიდა
სახლში, რომელიც იქვე კარებს ახლო გაჩერდა.

— აქ რამ მოგახეტა! შეუტია ნოდრმა, რო-
მელსაც ძრიელ გაუკვირდა შეილის უდროვოთ სტუ-
მრობა.

— ერთი მითხარი ჰქონდა მიტრიამ მამას, ბოლო
არ უნდა ჰქონდეს ჩვენ ტანჯვა მწუხარებასა?.. მიტრიას
გულიდგან მწარე გამომეტყველებით ამოსდიოდნენ სი-
ტყვები. იგი ლაპარაკის ღროს ხანგრძლივათ აცქერდე-
ბოდა ნოდარს, დიდხან უყურებდა იმის უდარდელ
თვალებს... შემდეგ ხანგრძლივის ლაპარაკისა, მიტ-
რიამ შეურაცხოფა მიაყენა თავის მამას.

მაკრინეს თავეგანწირულ 〈მიშველეთ〉 ძახილმა,
ერთ წამს ფეხზედ წამოაყენა ჩაძინებული ხალხი და

დიდი თუ პატარა მოეშურებოდნენ მაპრინეს სახ-
ლისაკვენა... ამავე ხალხთან გულ-ხეთქებით მიირჩინა
მამასახლისმაც, თავისი ყოველთვის უკან მადლევარის
გზირითა... ხალხი ათას გვარი. აზრი და ყაყანი ჩა-
მოეარდა... ნოდარის შეურაცხოფას მიტრიას აბრა-
ლებდნენ, მაგრამ, მომეტებული დედა-კაცობა უფრო
მაკრინესა ჰქონდნენ და გულ-მხურებულეთ იმრა-
ლებდნენ, საბრალო ელისაბედესა. ხალხში ამ გვარი
მოძრაობა და ყაყანი თან-და-თან ძრიელდებოდა.

— ზამოიყვანე მიტრია, გზირო! დაუყვირა მა-
მასახლისმა გზირსა, რომელიც შევიდა მაშინათვე
სახლში და გამოიყვანა მიტრია ეზოში, გარს აუარე-
ბელი ხალხის ბრძო შამოეხედა.

— ზაუკარ სელები და წაიყვა გომში დამწყვ-
დიე! ამ სიტყვებით მოუბრუნდა მამასახლისი გზირსა
და თითონ კი რამდენიმე კაცით შევიდა სახლში...

გზირმა მალე გაუკრა, მამასახლისის ბძანებით,
სელები; მიტრია არაეთარ წინააღმდეგობას არ იჩენ-
და იმან მხოლოთ ერთი უკანასკნელათ კიდევ გადაჰ-
სედა ხალხის ბრძოს, ერთი უკანასკნელათ კიდევ მო-
ავლო თვალები თავის ძევლ მეგობრებს, ერთი კიდევ
გაიხედა კეთილაშეილის. სახლისაკრა და რამდენჯერმე
მწარე ამოხერის შემდეგ სრულებით დაემორჩილა
გზირის ბძანებას.

6. გელის-ციხელი

ე გ ე ლ ი ს ნ ი ჭ ი ე ლ მ თ ი ა მ ა შ ე ს



3. 3. ჩანსასის, თავის დასით

მანო, არ დაგვივიწყოთ,
გახსოვდეთ ჩვენი ერი,
და კვლავაც გაგვაგონეთ
თქვენი ხმა მშვენიერი.

თქვენი ქება-დიდება,
ვერ გამოსთქვა ენამა,
ერთობ საღამი გიძლვნათ,
ქართველთ დასმა უველამა.

მზა ვართ, ფურ ქვე³ დაგიგოთ
უავილოთა თაიგული,
და მასთანავე მოგიძლვნათ,
ჩვენი სული და გული!

ოქატრია მუშა.

სახალხო ლექსიზი

(იმერეთში შეკრებილი სოსიკოსაგან)

წე იცინი, წურც მაცინებ,
თორუშ დაგვჭირებუნო;
სიყვარულს რომ შეგბატუობენ—
დაგვაშორი-შორებენო.

წეალსა ნაფოტი მოქმრნდა,
აჯვის სის ჩამონათაღი,
დადებ, ნაფოტო, მიამსე
საუვარულას შამონათვაღი.

შენი მოუვარე, ტინ წერილი,
ღორის ძირს ვნახე დაჭრილი;
მიელ და ბევრი ვიტორე,
ზედ მივაუარე ქვა წერილი.

გაღმა-გამოღმა ყანა—
შეაში გამოგებალი;
გაღმაური გოგოები,
ნეტავ აქ გამომგვარა!

გოგო, ისე დამაზა სარ—
ფერსაც ვერ გოცველის ზამთარი;
მამცემ სიცოცხლეს, თუ მომკლავ?—
შემომითვალე შერთალი.

სიყვარული მისთვის მინდა—
სიცოცხლეში გამასარსა;
მოკედე—მიწას მიმაპარსა,
ცხარე ცრემლი დამაყარსა;
მამულს ისე მოუარსა,
რომ ზედ მტერი არ ასარსა.

ჩვენი და თქვენი ბიჭიაბა
უნდა გამომწიდეს დღესაო,
გათავდეს საქმე იმითი,
რომ სისხლი დაიჭუსაო.
ნუ მოგაგვთ თავი მრავლობით,
ზურგზედ აგადენთ მტერსაო...
რაც რომ თქვენ ჩვენინათ წაიღოთ,
შინ დააქადეთ მმესაო,
ქათიბები დაუცემეთ
დებსა და პატარებულებსალ.

გამოცანები

1

შევი ხნული,
თეთრი თესლი—
მწერე არა ამოსული;
შესლს მაჟრიან, თავსა იკვრენ—
ეკლათ არის შემოსილი.

2

მე რომ ღმერთმა გამაჩინა
ხმელეთად დავიარები;
მთა, ბარი ჩემით ცახცასებს,
ზღვაზედ გამიდის გრძალი;
ბეკსაცა შეგნატოები,
ბეკსაცა მივეც ზანი;
არავის შეგებული—
გზაზედ დამისვნენ სმლასწინ.

3

ერთი რამე სულიერი,
აჯვის თავის ანადარსა;
სამ დღესა და სამ კვირესა—
ააუნებს თავის მკვდარსა.

დედქრილი და გამომცემელი ვ. ჩამიძე.

განცხადებანი

კამაკილა და ისეიღება

გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
მეთოდიური სახელმძღვანელო

სამობზო

ქნს

უსასწავლებლად.

შედგენილი

ალექ. ნათაძისაგან

ვასი 20 კაპ.

5—1

სტატები

მელიქი შეკვეთისა.

თფილისში — სასახლის ქუჩ., არწიუნის ეულ ქარ-
გასლაში, ქართული თქმატრის ქვემთ სართულში.

იღებს უოკელ გრანს სასტამბლა საქმების საბე-
ჭდავათ: გაზეთის, წიგნების, ბრუნვების, არეთ-
გა უკავებად ბლ წესების, კვარანტინის, სხოტების,
განრჩევებების. აფიშების, ბირჟების და სხვ.

სისუფთავები და აღნიშნულ დროზე საქმის

უსარელებაზე სტამბა ბირჟას აღლებს საქმის

მომზადება.

სტამბა კისრელობს ქორეგორის გასწორებას

და ბრუნვების გაკეთებას, უგეო ზაფაზის

მომცემი ისურებებს.

„თ ე ა თ ხ ი“ გვ. 10 და 11 გვ.

ისტორიული დრამატიული პოემა აქაკის,

ისყიდული მარივის ბიბლიოთეკაში, გრაფიკის
პრასტეგტიზე, მუხრან-ბატონის სახლში და გრიქო ავტის
წიგნის მადაზიაში. ფასი 1 თა შავი.

(10—5)

სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

ასეთი განათლი

ულა ჭავჭავაძე

გ. იანელიანი



გიორგი ერისთავი
კავკავი ერი

ჩიხია ალექსანდროვის ქადაგზე
მსატერია ა. ბერიძეს

ისყიდული გრეჭურავის წიგნის მაღაზიაში,
კუკის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში
და ი. სიჯაროვის ბაკალევინი მაღაზიაში, არწ-
რუნისეულ ქარვასლაში.

გიორგ ათ ან მეტს სურათს გრძელების, მა-
შინ თათო სურათი 16 კმ. და გრძელება.